გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 55
2024 წლის 12 აპრილი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის“ 2024 წლის 14 თებერვლის N 1/8-28 წერილის საფუძველზე, დადგა საკითხი, ქ. გორში, სტალინის ქ. N 16-ში (ს/კ 66.45.24.045) მდებარე შენობიდან 1 (ერთი) ოთახის (N 122) ფართობი 17,11 კვ.მ, სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ერთ წლიან უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა. აღნიშნული წერილით მოთხოვნილია, გორის ვეტერანული ორგანიზაციისთვის საოფისე ფართის გამოყოფა ა(ა)იპ-ის წესდებით განსაზღრული ფუნქციების შესასრულებლად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ა(ა)იპ „საქართველოს ვეტერანთა ცენტრალურ კავშირს“ (ს/კ 203862864) უსასყიდლოდ სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება, ქ. გორში, სტალინის გამზ. N16-ში მდებარე შენობიდან, პირველ სართულზე არსებული ერთი ოთახი (N 122), ფართი 17,11 კვ.მ, ორი წლის ვადით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ „საქართველოს ვეტერანთა ცენტრალურ კავშირს“ (ს/ნ 203862864) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქ. გორში, სტალინის გამზ. N16-ში მდებარე შენობიდან, პირველ სართულზე არსებული ერთი ოთახი (N 122), ფართი 17.11 კვ.მ. საკადასტრო კოდი N 66.45.24.045;

2.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

I სართული